

საქართველოს ფიზიკური  
აღზრდისა და სპორტის  
სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტი



GEORGIAN STATE  
TEACHING UNIVERSITY OF  
PHYSICAL EDUCATION AND  
SPORT

ქ. თბილისი

„8“ დეკემბერი 2016 წელი

ბრძანება № 01-59

ვლადიმერ ბოჟაძის, ედუარდ ფეროიანის და ნინო მაგანიას ქ. სანქტ-პეტერბურგში მივლინების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის 1 ნაწილის, „მოსამსახურეთათვის სამსახურეობრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულების, უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის 1 და მე-6 ნაწილის, საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის 1 პუნქტის, და სამეცნიერო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მოწერილობის და ედუარდ ფეროიანის განცხადების (2015 წლის 08 დეკემბრის №03/775) საფუძველზე

ვბრძანებ:

- 2016 წლის 15-19 დეკემბერს რუსეთში ქ. სანქტ-პეტერბურგში XX საერთაშორისო კონგრესზე „ოლიმპიური სპორტი და სპორტი ყველასათვის“, მივლინებულ იქნან საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვლადიმერ ბოჟაძე, ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი ედუარდ ფეროიანი, მოწვეული პედაგოგი ნინო მაგანია.
- დაევალოს ფინანსურ სამსახურს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურება:
  - ვლადიმერ ბოჟაძეს - ვიზის, მგზავრობის, და სადღეღამისო ხარჯები;
  - ედუარდ ფეროიანს - ვიზის, მგზავრობის, სადღეღამისო, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისა და კონგრესში მონაწილეობის მოსაკრებელი 80 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;
  - ნინო მაგანიას - ვიზის, მგზავრობის, სადღეღამისო და კონგრესში მონაწილეობის მოსაკრებელი 40 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

უნივერსიტეტის რექტორი  
პროფესორი



ჯემალ მაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040  
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040  
www.sportuni.ge